


# ფიქსიკა

№5, 2016





ნათია ჯანაშია



12  
ს  
ე  
მ  
ბ  
ს  
კ  
უ  
ი

**იანვარი**

ბუმ თქვა, ძველ წელს გავისტუმრებ,  
ვუმასპინძლებ იანვარსო,  
ახალი წლის შესახვედრად  
სახლის კარი ღია მაქვსო.  
სტუმრად ჭოტებს ველოდები,  
წრუნებსა და ჩხართვებსაო,  
ზამთრის ძილს რომ მისცემიან,  
გავალვიძებ დათვებსაო.

**ივლისი**

ივლისის მზემ ზღვა გაათბო,  
პლაჟზე ქვიშა გაახურა.  
მაიმუნი ზღვაზე მიდის,  
გადაღალა სამსახურმა.  
ცურვა სულ არ ჰყვარებია –  
ზღვაზე რას მიიმანჭება?  
რუჯს მიიღებს, ზღვის კოსტიუმში  
ცოტა გამოიპრანჭება.



**თებერვალი**

მოჭყაპუნდა თებერვალი,  
ცივი ქარიც მოიყოლა.  
დათვმა ზამთრის გასატანად  
სარჩო ბუსგან მოითხოვა:  
– ძილი რადგან გამიტეხე,  
ჩემს კვებაზეც იბრუნებო,  
აბა, რა ვქნა? ბევრს ვეცადე,  
მაგრამ ძილს ვერ ვიბრუნებო.

**აგვისტო**

აგვისტოა, ისე ცხელა,  
კუს ბაკანი გაუცხელდა.  
რუც არ არის ირგვლივ არსად,  
ჩრდილს დაეძებს, ტირის სანყლად:  
– ეს რა რისხვა დამეცაო,  
შიგნეული დამენვაო,  
ბაკანს თუ ვერ გავიხდიო,  
თავში შავ ქვას დავიხლიო.

2





**მარტი**

გაზაფხულდა, დადგა მარტი,  
პირქუში და ავდრიანი.

ნეტავ, ზღარბი რატომ არის  
მწუხარე და დარდიანი?

რატომ? – დეპრესიაშია!  
ტანს ეკალი აღარ შერჩა.  
გულის გადასაყოლებლად  
შეიკერავს ახალ ჩექმას.

**საქათაზარი**

ანკრიალდა სექტემბერი,  
მოსწავლეებს ელის სკოლა.

პირველ კლასში შედის ზღარბი –  
პანანინა, ცერისტოლა.

ბაჭიას რა აწუნუნებს?  
– სწავლით სისხლი გამიშრაო,  
სკოლას როცა დავამთავრებ,  
ჭარხლის ტორტით აღვნიშნავო.



**აპრილი**

მზემ სხივები დაიგრძელა –  
არ შესცივდეს აპრილსაო.

გამრჯე კურდღელს დამიხედეთ,  
არ სცილდება სახნისსაო.

გახვითქული სველ ულვაშებს  
ყურით მარჯვედ ინიავენს.  
ფიქრობს: ხნულში თესლს რომ ჩავყრი,  
წვიმაც არ დაიგვიანებს.

**ოქტომბერი**

ვაზის ყლორტზე შემოსკუპდა  
ხვავიანი ოქტომბერი.

ფელამუშით გატიკნილა  
დათუნის თოთო ბელი.

უბრაზდება დედა დათვი:  
– ნუნკო და ღორმუცელაო,  
ახლა რაში ამოვავლო  
ეს ამდენი ჩურჩხელაო?



**მაისი**

მაისს ვარდის სურნელი აქვს,  
ციხარტყელის მძივი შვენის.

ფისოს, მზეს რომ ეფიცება,  
ფაფა უნდა ვერმიშელის.

– თევზის მსუყე წვნიანებმა  
დამისუქეს თათებითო,  
დიეტაზე გადავდივარ,  
უნდა ვხვრიპო ფაფებიო.

**ნოემბერი**

ნოემბერი თავს იწონებს  
ფოთლის ჭრელი ხალიჩით.

ციყვუნისა გრძელი თოკი  
გაუვსია ჩამიჩით.

სხვენში მარჯვედ ეზიდება  
ნუშით სავსე კალათებს.  
სანამ მოთოვს, კაკალსა და  
თხილსაც მოიმარაგებს.



**ივნისი**

ივნისის მოსვლა ახარებთ  
ლოყანიტელა მარწყვებს.

მელას იმდენი საქმე აქვს,  
არ იცის, როგორ გასწვდეს.

ტყის მარწყვი დაუკრეფია,  
ცეცხლზე თუხთუხებს ჯემი,  
განა თავისთვის იმზადებს?  
სტუმრად ჰყავს დათვის ბელი.

**დეკემბერი**

მოპარულა დეკემბერი,  
მოჰყოლია თოვლის ფიფქებს.

საახალწლოდ რა სურს მართას?  
ჯერ არ იცის, მოიფიქრებს.

საიდუმლოდ დაწერს წერილს,  
ჭრელ კონვერტში ჩააცურებს,  
თოვლის პაპა მართას სურვილს  
უსათუოდ აასრულებს.



3



4

# ველური ცხენი დომენიკო

ერთ მშვენიერ დილას, ველური ცხენი, რომელსაც დომენიკო ერქვა, ფერადი ყვავილებით მოჩითული მინდვრის შორიახლო, მსუყე საძოვარზე ბალახობდა. ველური იყო, არც თავლა ჰქონდა, არც სახლი, არც თავშესაფარი. თუმცა, არც იმის თქმა შეიძლება, მთლად უსახლკარო იყო, რადგანაც შემოგარენში გაშლილი ვრცელი მინდვრები და ყვავილებით მოჩითული კიდეგანი იყო მისი სახლი, საძოვრის ფაფუკი, ნაზი ბალახი – მისი საწოლი, ხოლო მზე და მთვარე – მისი ლამპა. დიახ, უნდა ვაღიაროთ, რომ ველური დომენიკოს ეს სამყოფელი ძალიან ლამაზი იყო: გამთენიისპირს სქელ ნისლში ჩაძირული და გატრუნული შემოგარენი ბაყაყების ყიყინთან ერთად მალავდა ბევრ ისეთ საოცრებას, რომელთა მსგავსი რამ შინაურ ცხენებსა თუ ძროხებს სიზმრადაც არ მოეღანდებათ. ის ცხოველები, რომლებსაც თავლებსა და ბოსლებში სძინავთ, ხშირად შავ-თეთრ და ასე თუ ისე ცხოველურ სიზმრებს ხედავენ. მაგალითად: ძროხებს ესიზმრებათ მეზობლის შავხალე-ბიანი კურატი, რომელიც რაღაცას ბლავის ანდა ჩლიქებით თხრის მინას. ქათმებს ხომ საერთოდ არაფერიც არ ესიზმრებათ, რადგანაც ნამდვილი ქათმები არიან. იშვიათად თუ მოეღანდებათ საქათმის პატრონი – შავი-თეთრი მამლაყინა, ყიყლიყო ევალდი, რომელიც, როგორც კი ინათებს, პირველი ჩამოხტება ხოლმე ქანდარიდან, გაიზმორება, ააფართხუნებს ღონიერ ფრთებს და ვირივით იმხელა ხმით გაჰყვირის, რომ თავლასა თუ ბოსელში ყველა ცხოველს აღვიძებს. ამას კიდეც რა უშავს, ამ მამალ ევალდს კიდეც ერთ უცნაურობა სჭირს – ძალიან უყვარს გაჯგიმულს ეზოში სეირნობა თავზე დარჭობილი წითელი ბიბილოთი და მთელი გულთ სურს, ჰგავდეს ნამდვილ მამალს ანდა ინდაურს და ამით მაინც განსხვავდებოდეს უტვინო ქათმების ჯარისგან... მოიცათ, მოიცათ, ბოდიშს ვიხდი... რა დროს ქათმებია? ჩვენ ხომ ველური ცხენის, დომენიკოს ამბავს ვყვებოდით, ჰოდა, განვაგრძოთ, ხოლო ათასწაირ შინაურ ცხოველსა თუ ფრინველზე მერე ვისაუბროთ, ვთქვათ, ზეგ ან... სულაც გაისად.



მხატვარი ანა ხვიჩია

# ცხენი დომენიკო და ბაყაყები

ჰოდა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ერთ მშვენიერ დილას ყვავილების უზარმაზარი მინდვრის შორიახლო, ლალ საძოვარზე ბალახობდა ველური ცხენი, სახელად დომენიკო. ის მშვიდად, წყნარად ძოვდა, დროდადრო თავს აწევდა ხოლმე, რათა დაენახა, ნისლში ჩაფლული ხეების კენწეროებს იქით მზე ხომ არ ამოცურდაო. მზეს კი ყოველთვის მოუთმენლად ელოდა, რადგან ცივი ღამის შემდეგ ძალიან უნდოდა მზის პირველი სხივებით გაეთბო შემცივნილი სხეული.

გაინტერესებთ, კიდეც რას აკეთებდა ასე დილაუთენია გაღვიძებული ცხენი დომენიკო? გაინტერესებთ და გეტყვი. აბა, კარგად დამიგდეთ ყური. თქვენი ნებაა კითხვების დასმა, ჩემი კი პასუხის გაცემა. უპირველესად, ასე დილაუთენია ცხენი დომენიკო არასოდეს იღვიძებდა ხოლმე; ჩანს, იმ გასაოცარი დილის მოლოდინში, რომელიც მთლად ნისლიანი იყო, ცხენი ძალიან ლელავდა და ამიტომ იმ ღამეს საერთოდ არ სძინებია. რაკი არ ეძინა, თავისთვის ჩუმად ფრუტუნებდა, თბილი

ნესტოები უგანიერდებოდა და თვალდაჭყეტილი მიშტერებოდა ცას მოწყვეტილ ვარსკვლავსა თუ ათასგვარ მეტეორიტს. ასეთ წუთებში ის იგონებდა თავის დიდი ხნის წინათ გარდაცვლილ ბებო დომიცელეს, რომელიც ოდესღაც, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ცხენი დომენიკო ძალიან პატარა იყო, ათასგვარ საინტერესო ამბავს უყვებოდა ვარსკვლავებსა და ნაირ-ნაირ ციურ სხეულზე. ეუბნებოდა: გახსოვდეს, როცა ცას ვარსკვლავი სწყდება, მაშინ დედამინას ევლინება კიდეც ერთი კვიცი, ხოლო თუ მეტეორიტი მოწყდა, ჩოჩრუკულა იბადებო.

მაგრამ, მოდით, თქვენს კითხვას დავუბრუნდეთ: რას აკეთებდა დილაუთენია ეს საკვირველი ცხენი დომენიკო? იმ დილაუთენია საკვირველი ცხენი დომენიკო ბედნიერებისაგან ფრუტუნებდა, ჭიხვინებდა, დაკუნტრუშებდა, დაჭენაობდა თავის უკიდევანო მინდორზე. ძალიან უყვარდა ჭაობის მეზობელ ბაყაყებთან ერთად ცეკვა-ხტუნვა, დამალობანასა და დაჭერობანას თამაში. დომენიკოს ეს თამაშები განსა-



# გამოცანები

მზია მუქარიშვილი

უფროსი ძმა – ავი,  
ანჩხლი ქარიშხალი;  
უმცროსი ძმა – ანცი,  
გრილი ნიავექარი;  
მე კი შუათანა,  
გიჟმაჟი და ჩქარი.  
მიხვდით, რა ვარ?

• • • • •



ყინულები პანანინა  
კენჭებივით ცვივა ციდან.  
რად არ გვინდა მისი მოსვლა?  
აჩანაგებს ბაღს და ბოსტანს.

• • • • •

# სითხითეცა ამბები

\*


ბაბუა დასაძინებლად  
დანვა. დათუნამ სათვალე  
მიურბენინა: ბაბუ,  
უსათვალოდ რატომ იძინებ,  
ასე ხომ სიზმრებს კარგად ვერ  
დაინახავო.



\*

ნათია სკოლიდან  
გახარებული დაბრუნდა,  
დღეს სამი ათიანი მივიღეო.

- შენ ნათია კი არა, ათია  
უნდა გერქვას, - გაეხუმრა  
პატარა დემეტრე.



კუთრებით მაშინ მოსწონდა, როცა მინდვრებს  
ნისლის ფთილები ეფინა. მაშინ ცხენი მთელი ძა-  
ლით ჩაეზღერებოდა ხოლმე სველ ბალახში და  
თავზარს სცემდა მეზობელი ჭაობის ბაყაყებს:

- რა ხდება, რა ამბავია, - აყიყინდებოდნენ  
ბაყაყები. - მინა იძვრის? - და ნისლის ნაფ-  
ლეთებიდან ამოყოფდნენ ხოლმე პანია თავებს.

დომენიკოსაც ეს უნდოდა. როგორც კი  
თვალს მოჰკრავდა, დაიჭერდა - დამალობანას  
ეთამაშებოდა. მერე დომენიკოს დამალვის ჯერ-  
იც დგებოდა. ისიც მინდვრისპირა ღრმა ორმოში  
ჩადგებოდა ხოლმე. ნისლი იქ ლამის ყელამდე  
სწვდებოდა. იდგა დომენიკო იმ ორმოში, მხო-  
ლოდ თავი უჩანდა, ჩუმად ფრუტუნებდა და  
თან უთვალთვალებდა, ნისლით ჩაფენილ მინდ-  
ვრისპირს როგორ გადადიოდნენ ყირამალას  
მისი მეგობარი ბაყაყები, რომლებიც, რაც ძალი  
და ღონე ჰქონდათ, მალლა ხტებოდნენ, ზოგი-  
ერთი - განოლილი ნისლის ზემოთაც, და მთელი  
თავისი ყიყინა ხმით გაჰკვიოდნენ:

- სად არის ეს ჩვენი ცხენუკაა?

- ჩვენიო? - იმრიზებოდა ძროხა აურელია,  
რომელიც ნისლში იცოხნებოდა და შეურა-  
ცხყოფილი ზმუოდა: - ცხენი ჩვენი კი არა, ბუ-  
ზებისაა, ვერა ხედავთ, მთელი დღე რამდენი  
ბუზი ეხვევა?..

- რა მოხდა მერე, სამაგიეროდ, შენ ხარაბუ-  
ზები გეხვევიან, - შეეკამათებოდნენ ბაყაყები  
ძროხას, მაგრამ მასთან კამათს რა აზრი ჰქონდა.  
ის ხომ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობითა და  
სწორი გაგებით, მართლაც რქიანი იყო და თხები-  
სა და ცხვრებისაგან დიდად არ განსხვავდებოდა.

ასე ფიქრობდნენ ბაყაყები და გულმოდგინედ  
ექებდნენ ნისლში დამალულ ცხენ დომენიკოს,  
მაგრამ ვერა და ვერ ეპოვათ.

ლიტვურიდან თარგმნა  
**ნანა დავიძაძე**



ვასილ გულუური

# ახ იძინებს ბახარა

მთელი ღამე ყვანჩალა აკვნის რწევამ დაღალა – არ იძინებს შავტუხა, მეტიჩარა ბახალა.

იავნანაც უმდერა ყრანტალ-ყრანტალ-ყრანტალით: სხვა ვინ არის ამ ტყეში ჩემი შვილის ბადალი?

ყვაა-ყვაა, ნანები, გეხუჭება თვალები!

თავად ლამის ჩასთვლიმა, თავი დაბლა დახარა... მაგრამ მაინც ვერაფრით დააძინა ბახალა.

ბოლოს უთხრა: იცოდე, რადგან არ ხარ დამჯერი, აღარ დაგესიზმრება ყველის დიდი ნაჭერი!



მისილ სარიტონაშვილი

# ველახ გვიცნო

ქალაქიდან ჩამოვედით ბებიასთან მე და ციცო, მურა ღრენით გამოვარდა, ეჰ, ნამდვილად ველარ გვიცნო!

– დაბერდაო, – ბებომ გვითხრა, – თვალებიდან ველარ ხედავს...

მივწერ დღესვე და სათვალეს გამოგზავნის მისთვის დედა.



მხატვარი თაა მიქაია




# გონიერების ზარდახშა

## რა უმჯობესია?

- ერთხელ სპარტელთა მეფე აგესილას ჰკითხეს:
- რა უმჯობესია, სიმამაცე თუ სამართლიანობა?
  - რომ გვექონოდა სამართლიანობა, რა საჭირო იქნებოდა სიმამაცე?
- უპასუხა მეფემ.



## უმსაუზური პასუხი



ძველი ბერძენი ტრაგიკოსი ევრიპიდე ყოველთვის უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავის საქმეს. დიდმა დრამატურგმა ერთხელ გულახდილად აღიარა:

- მთელი დღის მანძილზე არ შემოიძლია ლექსის სამ სტრიქონზე მეტი დავწერო, ისიც დიდი ძალისხმევით.

როგორც კი ეს ერთმა, არაფრით გამორჩეულმა ათენელმა პოეტმა შეიტყო, ლექსის დიდოსტატზე იმისგებით თქვა:

- ასე, ჩემო დიდო კაცო! მე და თქვენ ერთმანეთისგან ძალიან განვსხვავდებით! მე დღეში ასეულობით შესანიშნავი სტრიქონის დანერა შემოიძლია!

ევრიპიდემ თავგასულ ბაქიბუქას ჭეშმარიტად საკადრისი პასუხი გასცა:

- მართალი ბრძანდებით, მონყალეო ხელმწიფე, ჩვენ შორის, მართლაც, უზარმაზარი სხვაობაა, მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ თქვენი პიესები სამი დღისთვის იწერება, ჩემი კი მარადისობისთვის იქმნება.

## სადილოზის ღრმ

- ვილაცამ დიოგენეს, ბერძენ ფილოსოფოსს, ჰკითხა:
- რომელ საათზე უნდა ისადილოს კაცმა?
  - თუ მდიდარია, - როცა მოესურვება, თუ ღარიბი, - როცა ამის საშუალება ექნება.



## ცუდიც და კარგიც

კითხვაზე: რა არის ადამიანში ერთდროულად ცუდიც და კარგიც, VII-VI საუკუნეებში მოღვაწე ფილოსოფოსმა და სწავლულმა ანაქარსისმა უპასუხა:

- ენა!

მოამზადა ალექო გაველაიამ

# განგაოას და ჩუხ თევზადასკ განზარა და ჩუხ სათევზაოდ მიდიან

განზარა და ჩუხ მდინარეზე წავიდნენ სათევზაოდ.  
მაღა ჩუხ გადით ნაკისხელა, ვერცხლისფარი თევზი დაიჭირა.

ტექსტი ლელა ცუცქირიძისა  
მხატვარი იულია ნიკომოსოვა



– რა  
პატარაა.

– ჰმ, ამას უყურეთ,  
სამაგიეროდ, შენგან  
განსხვავებით,  
სურვილების  
ასრულება შემიძლია.



– ნუ იტყუები,  
სურვილებს მხოლოდ  
ოქროს თევზები  
ასრულებენ.

– გეგონოს,  
მითხარი  
სურვილი და  
ნახავ, თუ არ  
შეგისრულებ.



– წყალქვეშა  
სამყარო რომ  
მაჩვენო, შეგიძლია?

– წყალქვეშ  
ვერ ისუნთქებ,  
დამელოდე და  
ახლავე მოვალ.

ჩუ  
ცოტა ხნით  
გაუჩინარდა და  
მაღე აკვალანებით  
დაბრუნდა.  
ზანზარამ თავზე  
აკვალანები ჩამოიხსო  
და წყალში  
შეცურა.



– საწყალი მდინარე,  
ფსკერი ნაგვით  
ჰქონია სავსე.

– მაგ ნაგავს  
ადამიანები  
ყრიან.

– ამის გამო უამრავმა  
თევზმა აქაურობა  
მიატოვა, ნამომყევით,  
ზღვაში გაგიყვანთ.



– ეს რა  
არის?

– ეს ჩაძირული  
ხომალდია. ნუ  
მიუახლოვდებით – დიდი  
ხნის წინათ ამ ხომალდს  
უზარმაზარი რვაფეხა  
დაეპატრონა. თევზებს  
იტყუებს და ყლაპავს.



– ჩვენ ხომ  
თევზები არა  
ვართ, ვერაფერს  
გვიზამს.

– მე კი იმხელა  
ვარ, ყელში  
გავეჩხირები.

მოულოდნელად სტვენა  
და ჭყვილი შემოესაათ და  
სომალდას  
რყევა დაიწყო.



– ვერ  
არის საქმე  
კარგად.



ლელა ცუცქირიძე

# მგომგე გეგეჭუნე

უსაქმურმა ბაბაჭუამ  
ქსოვა იცის აჩაბაჩა,  
ერთი ძაფი ალთას მიდის,  
მეორე კი მიდის ბალთას.

ბუტერბროდებს ბებო აჭმევს,  
თმას უვარცხნის, ტანზე აცმევს,  
ეს კი არა, ბოდიში და,  
ქოთნითაც კი ბებო დასდევს.  
ან ძინავს და კოტრიალობს,  
ან უაზროდ ბორიალობს.

ერთხელ ბებოს აწყენინა,  
ლამით თავი აძებნინა,  
თავად კარის მეზობელთან  
ჭორაობდა არხეინად.

ბებო ძლიერ გაუჯავრდა –  
ხან ახტა და ხანაც დახტა,  
მერე აბგა მოიკიდა,  
მეგობართან გადაბარგდა.

დარჩა მარტო ბაბაჭუა,  
მშიერია, რა თქმა უნდა,  
ჩამოქსოვა აბლაბუდა,  
აჩაბაჩა, აბდაუბდა...

ბევრს ეცადა, როგორ არა!  
ასეც ხლართა, ისეც ხლართა,  
მაგრამ მაინც ბუზის ნაცვლად  
ქსელში თვითონ გაიხლართა.

... ახლაც იქ ზის, ბებოს ელის,  
ის თუ არა, ვინ უშველის?!



მხატვარი ვაჟა ქურხული

\*  
ნაქურდალი ქურქის ქუდი  
ქურდსა ქუდად თავს ეხურა.

\*  
თეთრი ფატის თეთრი ბატი  
ფრთათეთრი და ფრთაფარფატი

\*  
თეთრ თითისტარზე  
თეთრად სართავი,  
მწვანემ დაისხა  
თეთრი თავთავი.

ქვეყნიერება მზით არის განათებული,  
ხოლო ადამიანი ცოდნით.  
ვისაც სახლი არ აუგია, ჰგონია, ბოძები  
თავისთავად ამოსულანო.  
ტოლმა ტოლს რითი აჯობა და, ადრე  
ადგომითაო.

ანის ბესუსი

ანდავები

კოცანა

მე ნადირი გახლავარ;  
მომაკელით ერთი ასო და  
გამოვა ხალხის უღეტა;  
მომაკელით ერთი ასოც და  
გამოვა ნოტი. თუ ბოლო ასოს  
ერთ ხმოვანს მიაწერთ. გამოვა  
სურნელოვანი ყვავილი.


ქოჩორა კრუხს წინილები  
ბევრი ჰყავდა, — უთვალავი:  
ორი წილი თეთრი იყო,  
ერთი წილი – ფერად შავი.  
სამი ქორმა მოიტაცა –  
სამივე თეთრი ბამბასავით;  
შავ წინილზე მაშინ თეთრი  
მაინც მეტი დარჩა სამით.  
გამოიცან: ჩვენს ქოჩორას  
სულ რამდენი შვილი ჰყავდა,  
სანამ ქორი შესაჭმელად  
სამ წინილას წაიყვანდა!

ლოგოგრიფი



# ნისვარცას ნაამბობი

ქეთევან ჭილაშვილი



## მსატყუარი



კუდრაჭა ელენემ სახატავი რვეული გადაშალა, ფანქარი მოიმარჯვა და თავისუფლად მიუსვ-მოუსვა. ბიჭოს, ნაძვის ხე არ წამოჭიმა?!

მერე ტოტებზე დაასკუპა სპილო, დათვი, მელია.

– ეს რა დაგისატავს, ნაძვის ხეა თუ ზოოპარკი? – თავს წამოადგა უფროსი ძმა.

– ეს არის ზოოპარკის ნაძვის ხე! – დინჯად მიუგო ელენემ ისე, რომ ხატვა არ შეუნყვეტია.

– ოჰო, ბრავო, ოსტატო! ბარემ, შენი თავიც მიახატე, – ბიჭმა ალერსით აუბურდა თმა დაიკოს, ბურთს დაავლო ხელი და ეზოს მიაშურა.

მხატვარი ერთი კი აბუზღუნდა, მაგრამ მალე ჩაჩუმდა და ხატვა განაგრძო.

## ასანო

ანანომ უმცროს დაიკოს ჰკითხა:

– ერთ ვაშლს რომ ერთი ვაშლი მივუმატოთ, რამდენი იქნება?

– ერთი! – მიუგო გოგონამ და თვალი ხილის ლარნაკისკენ გაეპარა.

– რატომ? ერთს რომ კიდევ ერთი ვაშლი დავუმატოთ... – ანანო ცდილობდა, დაიკოსთვის სწორი პასუხი ეპოვნინებინა.

– იმიტომ, რომ ... ერთი შევახრამუნე... – დაირცხვინა გოგონამ და ისევ ხილის ლარნაკს გახედა, სადაც, მართლაც, ერთი წითელი ვაშლი გორაობდა.

$$1 + 1 = ?$$

მხატვარი  
ლიკა გურგენიშვილი



# იცი, თუ ახა, ხომ...

კარის საკეტი, იგივე კლიტე, რომლის წარმომავლობაზე და ისტორიაზე, ალბათ, არასდროს დაფიქრებულხარ, ასწლელებს ითვის.

აბა, გაიხსენე: სახლში დაბრუნებულები, ჩვეულებისამებრ, გასაღებს მოვძებნით და კარის საკეტში ვათავსებთ, კარს ვაღებთ... საკეტზე კი მხოლოდ მაშინ ვამახვილებთ ყურადღებას, როცა იჭედება, კარგად არ მუშაობს ან ბოლომდე გაჯიუტდება და... სახლში არ გვიშვებს. არადა, ამ ჩვეულებრივ გამოგონებას, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად რომ იქცა, მეტად საინტერესო ისტორია აქვს. არსებობს საკეტი სახლის კარისთვის, მაგიდის უჯრისთვის, სეიფისთვის, ზარდახშისთვის და დღიურისთვისაც, რომელიც საიდუმლო ჩანაწერებს ინახავს.



## ყველზე ძველი კლიტე ასურეთის მეფის სასახლის კარს იცავდა

ისტორიამ არ შემოგვინახა არც პირველი საკეტის კონსტრუქცია, არც მისი გამომგონებლის სახელი. ბევრი მიიჩნევს, რომ მისი სამშობლო ძველი ეგვიპტეა. 1843 წელს ფრანგმა არქეოლოგმა ემილ ბოტამ თანამედროვე ერაყის ტერიტორიაზე, ხორსაბადში, აღმოაჩინა ჩვ. წ. 717 წელს ასურეთის მეფე სარგონ II-ის მიერ დაარსებული ქალაქი დურ-შარუქინი. სენსაციურ აღმოჩენებს შორის იყო 200-ოთახიანი სასახლის ნანგრევები, რომლის კარს ჯერ კიდევ იცავდა ხის კლიტე. ეს საკეტი ჯერჯერობით უძველესია. საინტერესოა, რომ ამგვარი საკეტის ხის გასაღები აღმოჩენილია ფარაონ რამსეს II-ის სამარხშიც.



## ძველი გასაღები სიგრიტით ნახევარი მეტრი იყო

ეგვიპტიდან ხის კლიტეები ძველ რომსა და საბერძნეთშიც გავრცელდა. ეს იყო რამდენიმე ადგილას გახვრეტილი სქელი და მყარი ხის დაფა. ნახვრეტებში ათავსებდნენ ხის ჯოხს – ღეროს, რომელიც თავისუფლად მოძრაობდა ზევით-ქვევით. ასეთი კლიტეების გასაღები საკმაოდ დიდი იყო – დაახლოებით, ნახევარი მეტრის სიგრძისა. გასაღებების ასხმას მხარზე იკიდებდნენ ხოლმე.

## კლიტეების დამზადებამ მეფეებიც გაიტაცა

კლიტის ოსტატები ოდითგანვე განთქმული და პატივცემული ხალხი იყო. საკმარისია დავასახელოთ ფრანგი მეფე ლუდოვიკო XVI (1754-1793), რომელმაც სიცოცხლე გილიოტინაზე დაასრულა. კლიტეების დამზადება მისი ჰობი იყო და დღის დიდ ნაწილს საგანგებოდ მოწყობილ ლაბორატორიაში ატარებდა.

## რომაელები გასაღებს თითზე წამოცმულს ატარებდნენ

რომაელი ოსტატები ისე დახელოვნდნენ, რომ მინიატიურული კლიტეების დამზადება დაიწყეს ზარდახშებისთვის. ასეთი საკეტების გასაღებს თითზე ბეჭედივით იკეთებდნენ.

**ბოქლომი, ანუ დასაკიდი კლიტე ჩინეთში გამოიგონეს, იქიდან გავრცელდა ინდოეთში, სპარსეთსა და რომში.**

## აჭარაში დღემდე შემორჩა უძველესი ტიპის კლიტე

ხის საკეტი, რომელსაც აჭარაში დათვა-ბოყვას უწოდებენ, დღესაც გამოიყენება ნალიის, ბელისა და სხვა დამხმარე ნაგებობათა დასაკეტად. ასეთივე კლიტე ცნობილი იყო ძველ ეგვიპტესა და ბაბილონში, რომსა და საბერძნეთში. დათვა-ბოყვა და მისი მსგავსი მოწყობილობები წარმოშობით წინააზიურია (შუმერულ-ბაბილონური).

**კლიტეებისა და გასაღებების ოსტატს საქართველოში ძველად ჩილინგარი ერქვა, ახლა კი ზეინკალს ვუწოდებთ.**





# ბავშვთა შემოქმედება



**კესარია გაბუნია**  
8 წლის



## სოხუმი

ზღვა რომ ლივლივებს ღამის სოხუმში,  
სავსე მთვარე და ცისკრის ვარსკვლავი,  
მე არ მინახავს, მე არ ვყოფილვარ!  
ეს სილამაზე ახლა ვისია?  
ნახე, უყურე ამ ღამაზე ნახატს -  
თურმე, წვიმს ახლა ჩემს სამშობლოში,  
მინდა იქ ვიყო, მინდა სოხუმში,  
მინდა და თვალეხს ცრემლი მადგება!

**ლიზა ჩაჩავა**  
8 წლის

## მეფე ჯულიანის ქალიშვილი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მეფე, სახელად ჯულიანი. მეფე ჯულიანს შვილი არ ჰყავდა. დედოფალ ელისაბედს და მეფეს ძალიან უნდოდათ ქალიშვილი. გავიდა ხანი. ერთ საღამოს დედოფალი შეუძლოდ შეიქნა. მეფე ჯულიანმა მაშინვე ექიმი იხმო. მათ შეეძინათ პატარა გოგონა, რომელსაც ელენე დაარქვეს. გავიდა დრო. დედოფალი და მეფე მოხუცდნენ, ხოლო პრინცესა ელენე გაიზარდა. ელისაბედსა და ჯულიანს შვილიშვილები ძალიან უნდოდათ.

გვერდით სამეფოში ცხოვრობდა პრინცი დავითი. გავრცელდა ხმა, რომ პრინცი დავითი დიდ ზეიმს აწყობდა და თავისთან პრინცესებს ეპატიჟებოდა.

ყველა პრინცესა გამოენყო ღამაზე კაბაში, თმა გაიკეთეს, ძალიან გალამაზდნენ. დადგა ზეიმის დღე. პრინცესები ეტლებში ჩასხდნენ და სამეფოსკენ გასწიეს. პრინცესა ელენე კი ტიროდა, მას კაბა არ ჰქონდა. ამ დროს პრინცესამ დაინახა ციდან ჩამომავალი ორი ფერია. პრინცესა ფერიებს ამბებს მოუყვა. ფერიები გაგიჟდნენ. მათ ძალიან ღამაში კაბა და ორი ბროლის ფეხსაცმელი გააჩინეს, ელენეს ჩააცვეს და საჩქაროდ ზეიმზე გააქროლეს. პრინცმა როგორც კი ელენე დაინახა, სხვა პრინცესებს თავი გაანება და ღამაზე ელენესთან წავიდა. დავითმა ელენეს უთხრა: – სულ ჩემთან იყავიო. ელენემ უპასუხა:

– კარგიო. ამის შემდეგ, ისინი დაქორწინდნენ და ბედნიერად ცხოვრობდნენ.



# როცა

როცა „დედა ენას“ და  
როცა „დილას“ გადაშლი,  
ჯერ უწვრთნელი პანია  
დარწმუნდები ამაში –

როგორც შუქი წყვდიადში,  
როგორც ცეცხლი ღაღარში,  
იმალება სიმართლე,  
თურმე, ზღაპრულ ამბავშიც!..

ამ ყველაფერს მიხვდები,  
ამ ყველაფერს ჩასწვდები,  
როცა „დედა ენას“ და  
როცა „დილას“ გადაშლი.

როცა შოთას წიგნთაწიგნს,  
„ლურჯა ცხენებს“ ( ფრთაგაშლილთ),  
როცა ვაჟას მინდიას  
გულისძგერით გადაშლი,  
დარწმუნდები, უეჭველ,  
დარწმუნდები ამაში —  
როგორც ზღაპრულ ამბავში,  
ვით ჯადოსნურ ზღაპარში,  
ერთმანეთით იზრდება,  
თურმე,  
სიტყვა და ბავშვი...

სიცოცხლესთან, სიტყვასთან  
ასე თამაშ-თამაშით  
როცა წამოჩიტდები,  
ასაფრენად ფრთას გაშლი,  
მაშინ იგრძნობ,  
რა სიბრძნეც  
გიდევს ქართულ ანბანში...

როგორც ჭეშმარიტება —  
წარმოქმნილი დავაში,  
როგორც დიდი სიმართლე  
ტყუილ-მართალ ამბავში...  
საიდუმლოს ჩახვდები  
მხოლოდ მაშინ...

და მაშინ,  
როცა „დედა ენას“ და  
როცა „დილას“ გადაშლი.

მხატვარი  
დავით ასლანიშვილი



# ბახო

ნამდვილი ამბავი

ეს ამბავი გურიის ერთ მთაგორიან სოფელში მოხდა. კაცმა ზეგანში ბუდიდან გადმოვარდნილი ყვავის ბახალა იპოვა და შინ წამოიყვანა.

პატარას ოჯახში თავს ევლებოდნენ, მზრუნველობდნენ, ეფერებოდნენ, მალე წამოჩიტეს კიდეც და სახელად ბახო დაარქვეს.

ბახომ მოულოდნელად ენა ამოიდგა. ბგერებს ოდნავ ხრინწიანად, მაგრამ გარკვევით წარმოთქვამდა. ყველაზე კარგად ამბობდა სიტყვას „მამა“. დაინახავდა თუ არა ოჯახის უფროსს, ატეხდა ძახილს: „მამა“, „მამა“. ეს ხმა ისე ჰგავდა ბავშვების ხმას, რომ კაცი ზოგჯერ გამოეპასუხებოდა კიდეც და, როცა მიხვდებოდა, ვინც ეძახდა, ალერსიანი სიცილით ეტყოდა: რა გინდა, შე ყვანჩალა!

ბახოს საყვარელი ადგილი სამზარეულო იყო. შემოჯდებოდა კარადის თავზე და სადილის სამზადისს თვალს ადევნებდა. დიასახლისს მისთვის მუდამ ჰქონდა გადანახული ყველის ნაჭერი, რომელსაც თეფშით მიართმევდა ხოლმე. სუფრასთან ხომ მაგიდის სრულუფლებიანი ნევრი იყო ბახო – ხან ვის ჩაუკორტნიდა ლუკმას და ხან ვის ჩაუყოფდა თეფშში ყვითელ ნისკარტს. პასუხად სიცილ-ხარხარი და ხალისიანი შეძახილები ისმოდა.

ბახოსადმი სიყვარულმა და თანაგრძობამ ერთიორად იმატა, როცა ერთხელ სუფრასთან ჩაფიქრებულმა კაცმა თქვა: ეს უბედური ბუდიდან, ალბათ გუგულის ბარტყმა გადმოაგდო. ამ სიტყვებზე ბავშვები დაფაციცდნენ: ეგ როგორო? ...და მამამ აუხსნა შვილებს თავქეიფა გუგულის ოინები: გუგული თავად ბუდეს არ იშენებს, თავისინებად ჩაჯდება სხვის ბუდეში და იქ დებს



კვერცხებს. ბუდის პატრონი მზრუნველად ათბობს ბუდეს და ელის შვილების გამოჩეკას; დადგება დრო და სხვებთან ერთად შვილობილი გუგულის ბარტყიც იჩეკება. იგი თავიდანვე დედასავით ურჩი და თავნებაა. ბუდიდან ბიძგა-ბიძგით ყრის ბახალებს, მერე უდარდელად შეფართხალდება, გახალვათდება და გალალდება. არხეინად მიირთმევს გულკეთილი დედობილ-მამობილის მირთმეულ საკვებს და ასე ნებივრობს მანამ, სანამ თავის გზას არ ეწევა.

მამის ნათქვამმა ბავშვები ჩააფიქრა. ბახო ამ დროს კაცს მხარზე ეჯდა და, თვალს ისე ახამხამებდა, თითქოს ყველაფერი ესმისო.

გავიდა დრო. ბახო გაიზარდა. ყვავს კარგი მხედველობა აქვს – შორს ხედავს, ამი-

ტომ მაღალ ხეებზე უყვარს შემოჯდომა და თვალთვალი. ბახომაც ამოირჩია ოდასახლის წინ მდგარი მაღალი ცაცხვი – შემოჯდებოდა კენწეროზე და მთელი სოფელი ხელისგულივით გადაეშლებოდა თვალწინ. გულდასმით ადევნებდა თვალს – ვინ საით მიდიოდა. ბავშვებს მზერით მიაცილებდა სკოლამდე, ოჯახის უფროსს – ზეგნამდე, დიასახლისს – პლანტაციამდე.

ბახოს მთელი სოფელი იცნობდა. ის ხომ ამინდის შეცვლასაც წინასწარმეტყველებდა. ბახო დილიდან ისე ჩხავის, რომ დღეს აუცილებლად იწვიმებსო, – იტყოდნენ ხოლმე მეზობლები.

ერთ კვირა დღეს კაცი სათოხარში წავიდა, ქალმა ბაზარში ბოსტნეული წაიღო გასაყიდად. ბავშვები შინ მარტო დარჩნენ. იცელქეს, იონავრეს. ბოლოს დაიღალნენ, აივანზე წამოწვნენ და ასანთის ღერის „მაშხალების“ ტყორცნა დაიწყეს.

არავინ იცის, სად ან როგორ ჩაეშვა ასანთის „მაშხალა“, მაგრამ, ბავშვები რომ გონს მოეგნენ, კვამლი უკვე ბოლქვებად ამოდიოდა. ხანძრით დაშინებულმა პატარებმა სხვა ვერაფერი იღონეს და მორთეს პირმოხეული ყვირილი: მამა! მამა!

ბახომ ერთი კი გადმოხედა დამფრთხალ ბავშვებს, ფრთა ფრთას შემოჰკრა და გეზი ზეგნისკენ აიღო.

არემარეს აყრუებდა ბავშვების ხმას მიმსგავსებული ბახოს სასონარკვეთილი ჩხავილ-ძახილი: მამა! მამა! მამა!

სოფლელები შეძრა ყვავის შეძრწუნებულმა ხმამ, გარეთ გამოეფინენ, მეზობლის სახლიდან ამომავალი კვამლი შენიშნეს და საშველად გაეშურნენ.

სანამ ყვავი ზეგნამდე მიაღწევდა და კაცს დააფეთებდა, მეზობლებმა იმარჯვეს და ხანძარი ჩააქრეს.

ასე გადაარჩინა ბახომ ოჯახი უბედურებას.



მხატვარი ბიორბი ჩაჩანიძე

# სოფიუნა

– სოფიუნა ცუნცულა,  
 რატომ სცივათ წინილებს?  
 აბუზული დგანან და  
 ვერც ერთი ვერ იძინებს.  
 – არაფერი, დედიკო,  
 ვაბანავე სუყველა,  
 ისეთ მტვერში ინვნენ, რომ  
 ქაფმაც კი ვერ უშველა,  
 მერე ჟელე დავასხი,  
 გავუხეხე ფეხები,  
 შენ ხომ იცი, მიყვარან  
 და რა ნაზად ვეხები.  
 ბაბთებიც კი შევაბი,  
 ფრთებზე მუსი ნავუსვი,  
 ასე გამოვპრანჭე და  
 დედიკოსკენ გავუშვი.  
 ამ სულელმა კრუხმა კი  
 ველარ იცნო შვილები,  
 ჩემი დანებებული  
 დაანინკნა ღილები.  
 ჭუჭყიანი რომ დადის,  
 ეს სულ იმის ბრაღია,  
 კრუხი შენ აბანავე,  
 მძიმე არის ძალიან.



# მსუნაგი

კანფეტები მიყვარს ისე,  
 არ მბეზრდება, სულ რომ ვჭამო,  
 მიჯავრდება ზოგჯერ დედა:  
 – გასუქდები ამის გამო.  
 დიდი რამე, ვიყო მსუქნად,  
 ფუმფულა და საყვარელი,  
 დამიძახონ ღორმუცელა,  
 დამიძახონ დათვის ბელი.  
 რას უნუნებთ წითელ ლოყებს,  
 ფუნთუშების სურნელს კანზე?  
 დავისვარე? ჩემს ტანსაცმელს  
 გავალ, გავნმენდ აივანზე.  
 თქვენ მიყიდეთ კანფეტები,  
 სანამ მქვია დათვის ბელი,  
 გავიზრდები და გავხდები  
 ტკბილეულის გამყიდველი.

მხატვარი  
 მალსაჟ კუნაშვილი



ვისაც ბევრი ზღაპარი აქვს წაკითხული, ადვილად ამოხსნის ამ ზღაპარვორდს.

გამოიცანი, რომელი ქართული ხალხური ზღაპრებიდან არის ქვემოთ მოყვანილი ციტატები, მერე ზღაპრების სათაურები თანმიმდევრობით ჩასვი ჯაჭვის რგოლებში (თითო ასო თითო რგოლში). თუ ზღაპრების დასახელება არ შეგეშლება, ჯაჭვი არ განწყდება და გმირი ამირანი დაუბრკოლებლად ავა ყამარ-ქალის კოშკში.

1. ...ნავიდა ეს კაცი მარილის საყიდლად ქალაქში. გზაზე ერთი კაცი დაინახა, მოუხნავს მამული, პურსა თესავს და თან იძახის: ერთი ათასად, ერთი ათასადო!

2. ...კვირა რომ შესრულდა, დედამ გემრიელი სადილი მოამზადა, ჩაალაგა ხურჯინში, გადაჰკიდა ხურჯინი ქალს და გაგზავნა ძმებთან. ქალი მიჰყვა ხახვის ნაფურჩალს, იარა, იარა და დევის სახლს მიადგა.

3. ...ნავიდნენ ცხვრები საბალახოდ, მიდიან, მიდიან და გზაზე შეხვდა მელია.

4. ... – ძილმა ნამილო, ბურანმა: ცალი ფეხი ბაღდადს მედგა, ცალი – ბაღდადის ბოლოსა; აქეთ მზე მეჯდა, იქით – მთვარე, შუქურვარს კვლავი ხელ-პირს მაბანინებდაო.

5. ...მოზებრდათ ძმებს მისი უსაქმურობა და ერთ მშვენიერ დღეს მართლაც გააგდეს სახლიდან. ერთი ხბოს გუდა ნაცრით გაუტენეს და ზურგზე აჰკიდეს, ხელში ჩხირი მისცეს, ჩოხის კალთაში საგზლად ჭყინტი ყველი გამოუხვიეს და გაისტუმრეს.

6. ....გადაადგო ბიჭმა სავარცხელი. უცებ ისეთი წვრილი და ხშირი ტყე აიყარა, შიგთავი კუდს ვერ მოიბრუნებდა.



მხატვარი  
გიორგი რიხიშვილი


# ზღაპრული ჯაჭვი



7. ...ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა დევის სახლში, შეიპარა, სადაც ხალიჩა იყო დაგებული და დაარქო ნემსები. მოვიდა დევი, დაჯდა ნემსებზე – შეერჭო, იქით გადაინია, იქითაც შეერჭო, აქეთ გადმოინია – აქეთაც შეერჭო. ბოლოს, რაკი ძალიან შეწუხდა, მოავლო ხალიჩას ხელი და გადაუძახა გარეთ.



# კურდა-კურდა ამბები



მხატვარი  
კახო შრანგიშვილი



მთავარი რედაქტორი: ღოღო ნიჟიანიძე  
 ნახატი ყდაზე: ნანა სანაიასი  
 მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77; 2 72 51 77  
<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: [dila1904@yahoo.com](mailto:dila1904@yahoo.com), facebook: საბავშვო გამომცემლობა დილა  
 ფასი: 2.50 ლარი

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და სსიპ „მწერალთა სახლის“ მხარდაჭერით.

